N 79 05/03/2020

ოქმი N 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2020 წელი, 28 თებერვალი
ქ.ოზურგეთი
13.00-14.00-საათი

თავმჯდომარეობდა: ლ.ბიგვავა-მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ბ.დოლიძე, ლ.მგელაძე, ვლ.ღლონტი, ვლ.ჩავლეშვილი, დ.ჭაკნელიძე, ლ.კილაძე, თ.ტუღუში, გ.ჩავლეშვილი, ე.გორდელაძე, გ.თოიძე, ბ.ქათამაძე,

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.
მომხს:ლ.ბიგვავა
2.ქ.ოზურგთის სივრცით-ტერიტორიული მოწყობის სამუშაო გეგმის განხილვის შესახებ.
მომხს:ლ.ბიგვავა
თანამომხს:გ.სკამკოჩაიშვილი
3.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შრომის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ.
მომხს:ლ.ბიგვავა
4.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ.
მომხს:ლ.ბიგვავა

კომისიის წევრებმა მოისმინეს და იმსჯელეს მომხსენებლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ და აღნიშნეს, რომ გასულ წელს

მუნიციპალიტეტში განხორციელდა სერიოზული ინფრასტრუქტურული სამუშაოები, მათ შორის სოფლის მხარდამჭერი პროგრამითაც, მაგრამ, საგულისხმოა ისიც, რომ ზოგიერთი დაგეგმილი პროექტი არ შესრულებულა, კომისიის წევრებმა ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

სხდომის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ ისაუბრა ქ.ოზურგეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შედგენის მნიშვნელობაზე ქალაქის შემდგომი განვითარებისათვის. აღნიშნა, რომ ცენტრის უფროსის ანგარიში მოსმენილი და შეფასებული იქნა საკრებულოს სხდომაზე, მიმდინარე წლის ბიუჯეტის შედგენისას დაისვა კითხვა-რატომ არაა ბიუჯეტში დაგეგმილი ქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შედგენისათვის თანხები? მაშინ განმარტეს, რომ საბაზისო სამუშაოებს შეასრულებდა ა(ა).ი.პ-ი, ხოლო დაგეგმარების სამუშაოები შესრულდებოდა მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად. ამის შემდეგ მოისმინეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ- „სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრის“უფროსის გ.სკამკოჩაიშვილის ინფორმაცია მის მიერ განხორციელებული და მიმდინარე სამუშაოების შესახებ. აღინიშნა, რომ სამუშაოები უაღრესად რთული და საპასუხისმგებლოა. დაწყებულია ქუჩების აზომვა, რომლის საფუძველზეც მოხდება მიწათსარგებლობის გეგმის შედგენა, განისაზღვრება რეკრიაციული, სამრეწველო ზონები, ისტორიული ძეგლები და ადგილები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და თავისუფალი ზონები და სხვა. მთელ ამ საქმიანობას კონსულტირებას გაუწევენ თბილისიდან მოწვეული სპეციალისტები, სამუშაოთა შესრულება დამოკიდებულია ამინდზე, სხვა ფაქტორებზეც, მაგრამ წლის ბოლოსათვის მომზადებული იქნება სამუშაოთა ძირითადი კონტურები. პრობლემებია ე.წ. წითელი ზონები-კერძო მფლობელობაში არსებული ტერიტორიები.

კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ აღნიშნა, რომ რთული და მოცულობითი სამუშაოებია შესასრულებელი, მაგრამ იკვეთება დადებითი მომენტები, წლის ბოლოს მოსმენილი იქნება ანგარიში. საკრებულოს წევრმა ხ.ცერცვაძემ აღნიშნა, რომ გეგმის შედგენისას კარგი იქნება თუ გაითვალისწინებენ კერძო მფლობელებმა და კომპანიებმა კეთილმოაწყონ თავიანთი მიმდებარე ტერიტორია. განუმარტეს-განაშენიანების გენერალურ გეგმაში მისი გათვალისწინება ვერ მოხდება, მაგრამ პრობლემა აქტუალურია და მერიის წინაშე დაისმება საკითხი მოამზადოს და საკრებულოს წარმოუდგინოს დასამტკიცებლად შესაბამისი საკანონმდებლო აქტი.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და იმსჯელეს დაბა ურეკსა და სოფელ შრომის ადმინისტრაციულ ერთეულებში უსახელო ქუჩების სახელდების თაობაზე და გადაწყვიტეს მომზადდეს დოკუმენტები და გადაეგზავნოს შესაბამისს სამთავრობო კომისიას შესათანხმებლად. ამ საკითხების განხილვისას კომისიის წევრმა ბ.ქათამაძემ განაცხადა, რომ მოსახლეობა საყვედურს გამოთქვამს შეკვეთილი სანაპირო ზოლის დაბეტონებაზე და ითხოვს პროექტში ცვლილებების შეტანას.

გადაწყვიტეს:

1.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ“ და „ქ.ოზურგეთის სივრცით-ტერიტორიული მოწყობის სამუშაო გეგმის განხილვის შესახებ“-ინფორმაციები მიღებულ იქნას ცნობად.

2.ქ.ოზურგთში სივრცით-ტერიტორიული მოწყობის სამუშაოების თაობაზე მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ-ის „სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების ცენტრი“ანგარიში მოსმენილი იქნას მიმდინარე წლის ბოლოს.
3. დაბა ურეკსა და სოფელ შრომის დამინისტრაციულ ერთეულებში უსახელო ქუჩების სახელდების თაობაზე მომზადდეს დოკუმენტები და გადაეგზავნოს შესაბამისს სამთავრობო კომისიას შესათანხმებლად.

ლავრენტი ბიგვავა

კომისიის თავმჯდომარე
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია